1-ს დეკემბერს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ

№ 23.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი. ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ“ რედაქციაში, დაბა ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდად ზომიერ ფასად. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡᲐ რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: რედაქციისაგან. 1885 წელში „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ“ გამოცემაზე.—უკანასკნელი იმერეთის სამღვდელოების შეკრებილების გამო —იმერეთის სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოების მე XXI შეკრებილება.—ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲜ.— პოლიტიკური მხარე ამბროსი ნეკრესელის ქადაგებებში.—ბიოგრაფიული შენიშვნა ანტონ მეორე ქართველიკოზზე. —ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში X—XI.—ᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲐᲒᲐᲜ.—ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ. —შესხმა, თქმული არსიმანდრიტის გრიგორისაგან სიონის ხობოროში 11 ნოემბერს 1884 წელსა. — ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ: მეოხე ფსალმუნი დავითისა. გლეხი.—განცხადებანი.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

მომავალი 1885 წლიდამ „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ“-Ს გამოცემაზე რუსული ყოველ თვიური დამატებით.

ᲧᲝᲕᲔᲚ გამოცემათათვის უმძიმესი და სადავო-დარაბო დრო არის პირველი წელიწადი, ეს დრო ნამეტან ღვაწლს და ნივთიერ შეწირულობას მოითხოვს რედაქციისაგან, როგორი გამოცემაც უნდა იყოს მისი გამოცემა. ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ, ანუ გაზეთის პირველი დაარსების დრო ძლიერ ძნელი დრო არის ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ, მაგრამ ჩვენში ეს დრო ᲥᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ, რასაკვირველია, ერთი ორად სამძიმოა. სხვაგან თანაგრძნობას გიცხადებენ გაზეთის ანუ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ გამომცემს; ᲩᲕᲔᲜᲨᲘ, სამწუხაროდ, თანაგრძნობის მაგიერ, გიჩივიან და გაზეთის დახურვას გეექადებიან...

ᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲘᲛᲔᲠᲗᲡᲐ, ეს სამძიმო და სადავო-დარაბო, პირველი დრო ჩვენი ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲡ „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ“-Ს არსებობისა გავიარეთ. თუმცა ჩვენც შეგვხვდა დაბრკოლება, მერმე ისიც, სამწუხაროდ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲗᲐᲒᲐᲜ, მაგრამ ჩვენის მხრით მადლობას ვუძღვნით მაინც მათ. გაგირვებას და განსაცდელს გამოუვლელი კაცი სუსტია საქმეში და ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ განსაცდელი კაცში ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲡ და დიდ გამოცდილებასაც ᲡᲫᲔᲜᲡ მას...

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲕᲘᲗᲥᲕᲐᲛᲓᲐ და, იმედი გვქონდა, რომ ჩვენს გამოცემას საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებებოდა. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲔᲑᲐ, მადლობა ᲘᲛᲔᲠᲗᲡᲐ, არ გამტყუნებელა. მრავალთა სამღვდელო და საერო პირთა თავიანთი მგრძნობიარე წერილებით რედაქციისადმი და თანაგრძნობის გამოცხადებით ჩვენი სურვილი და ენერგია გაგვიორკეცეს და საძნელო საქმე გაგვი-

ადვილეს. ჩვენ წინათვე შეტყობილი გვქონდა და დაუფიქრებლად არ მოგვიკიდია ამ მძიმე ტვირთისათვის ხელი. მაგრამ დარწმუნებული ვიყავით და ვართ, რომ გულით და სიყვარულობით საქმის ხელის მოკიდება ყველა დაბრკოლებას დასძლევდა და, მადლობა ᲛᲐᲛᲔᲠᲗᲘᲡᲐ, ამ იმედშიაც არ დავრჩით მოტყუებული.

Იქნება, რასაკვირველია, ,,მწყემსი'' თავისი შინაარსით ყველა მკითხველთა არ აკმაყოფილებდა. ამ უკმაყოფილო პირთა ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ ეხლანდელ, ყველა ბეჭვდითი სიტყვისათვის, დამდგარ განსაკუთრებით დროებაზე და მრავალს სხვა-და-სხვა მიზეზებზე, რომელთა დასახელება აქ ჩვენ არ შეგვიძლია. ამასთან არ უნდა დავიწყონ ამ უკმაყოფილო პირთა, რომ თითქმის ,,მწყემსი''-ს მთელ რედაქციას ამ პირველ წლებში შეადგენდა ერთად ერთი პირი—რედაქტორი. ამისთანა მდგომარეობაში მყოფმა რედაქტორმა, სხვა მრავალ თანამდებობაების აღსრულებასთან რამდენად რიგიანად აღასრულა თავისი ეს დიდი მოვალეობა,—,,მწყემსი''-ს გამოცემისა, მკითხველებისთვის მიგვინდვია.

ᲩᲐ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ აქ ერთი სამწუხარო ფაქტი. ამ უკანასკნელ ხანებში არასოდეს არ ყოფილა ჩვენს საქართველოში იმდენი მაღალ სასწავლებლებში კურს დასრულებულნი, რამდენიც ეხლა არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, სამიოდე პირთ გარდა ეს პირები არა ვითარ მონაწილეობას არ იღებენ ჯერ-ჯეროობით ლიტერატურულ შრომაში. მაგრამ, როგორც დრო მიდის, მადლობა ᲛᲐᲛᲔᲠᲗᲘᲡᲐ, ისე ლიტერატურულ მწერლობის სურვილი იღვიძებს ჩვესს ახალგაზდობაში. შემდეგში კი იმედი გვაქვს, ეს პირები განეზიარებენ თავიანთ სწავლას უნცროსთა ძმათა თვისთა და არ ინებებენ ხვედრი ტალანტის მიწაში დამარხვას. მართლადაც, სასიხარულოდ, შემდეგში ჩვენ გვპირდებიან ნასწავლნი პირნი თანაშრომობას და, იმედი გვაქვს, მკითხველები უფრო დავაკმაყოფილოთ ,,მწყემსი''-ს შინაარსით.

Ჭრავალნი პირნი მსახურებენ ჩვენ საქართველოში, რომელთაც ქართული ენა სრულებით არ იციან. ამასთან ჩვენი სასულიერო მართებლობაც თითქმის ხშირად ვერც კი ტყობილობს ხოლმე ჩვენს გაზეთში გამოთქმულს ჩვენ გაჭირვებას და დალხინებას. ამ უკანასკნელ დროს თვითონ რუსეთშიაც მრავალნი ჩვენი მხარის კეთილის მსურველნი აღმოსჩნდნენ და არ ტოებენ უყურადღებოდ ჩვენს საჭიროებას. მაგრამ პირველად კაცმა უნდა შეიტყოს რამე, რომ მას ყურადღება მიაქციოს; რაც არ გეცოდინება იმაზე ყურადღების მიქცევაც არ შეიძლება. ამისათვის ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ,,მწყემს''-თან გამოვსცეთ 1885 წლიდამ დამატება ცალკე რუსულ ენაზე თვეში თითო ჯერ ,,მწყემსი''-სავე პროგრამით და მიმართულებით. ეს დამატება იქნება იმდენი, რამდენიც არის ,,მწყემსი''-ს თვითეული № ი. ამ რუსულ დამატებაში დაიბეჭდებიან რუსული ორიგინალური სტატიები და გადიბეჭდებიან რუსულად შესანიშნავი და საინტერესო სტატიები ,,მწყემსი''-სა თარგმნით. აგრეთვე დამატებიდგან შესანიშნავი და საინტერესო ორიგინალური სტატიები გადმოიბეჭდებიან ქართულად ,,მწყემს''-ში. ამ რიგად ჩვენ იმედი გვაქვს შევატყობინოთ ჩვენი გაჭირვება და დალხინება იმათ, ვისაც ჩვენი სამღვდელოების და საზოგადოების დახმარება და შემწეობის აღმოჩენა შეუძლიათ.

ᲩᲡ საქმე ერთი ორად მეტ შრომას და ნივთიერ დახმარებას ითხოვს რედაქციისაგან, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ამასთანავე მოიმატებს ჩვენდამი თანაგრძნობაცა.

ᲑᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ მთელი წლის ,,მწყემსი'' ფასი არის—ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.—ნახევარი წლისა—ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.—მთელი წლის ,,მწყემსი''-ს ფასი დამატებითურთ—ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.—ნახევარი წლისა—ᲝᲗᲮᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.—Ერთი წლის ცალკე რუსული დამატების ფასი—ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.—ნახევარი წლისა—ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ᲩᲡთხოვთ ყველას, ვისაც ,,მწყემსი''-ს დაბარება სურდეს მომავალ 1885 წელში, დროით გვაცნობონ, რადგან რედაქციისათვის საჭიროა იცოდეს თავიდგანვე ხელის მომწერთა რიცხვი სხვა-და-სხვა თადარიგის დასაკავებლად.

ᲩᲐსთან მორჩილად ვსთხოვთ მათ, რომელთაც მიმდინარე წლის ,,მწყემსი''-ს ფულები არ შეოუტანიათ, დაუჩქარონ და გამოგზავნონ რედაქციაში.

საჭიროა თუ არა ჟუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ორ სასწავლებლად გაყოფა.

(უკანასკნელი იმერეთის სამღვდელოების შეკრებილების გამო).

ბოლოვანდელ №-ში მკითხველები წაიკითხავენ იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელი შეკრებილების ანგარიშს. ჟუთაისის სასულიერო სასწავლებელს, როგორც ყველამ იცის, თითქმის პირველი ადგილი ეკავა სხვა სასწავლებლებთა შორის, მაგრამ დღეს არ შეიძლება ამის თქმა, რადგან იგი ხუთიექვსი წლის განმამავლობაში ძლიერ შეაფერხეს სხვადა-სხვა არა სანატრელთა გარემოებათა. ვერ ვიტყვით, რომ ამ გარემოებაში უკანასკნელი ადგილი ეჭიროს ამ სასწავლებლის შაგირდთა მრავალ რიცხოვნობას. როგორც სასულიერო მთავრობა ისე სასწავლებლის სამართველო ყოველთვის მიაქცევენ ხოლმე სამღვდელოების ყურადღებას ამ სასწავლებლის შაგირდების მრავალ რიცხოვნებას და ეს გამოჰყავთ როგორც სწავლის, ისე ზნეობითი აღზრდის დამაბრკოლებელ მიზეზად. წარსულ წელში ამ სასწავლებელში სამოცდა ექვსმა შაგირდმა დაასრულა კურსი. ამდენ შაგირდებში მხოლოდ ჩვიდმეტი შაგირდი შეიქმნა ღირსი სემინარიის პირველ კლასში შესვლისა. ამის მიზეზად გამოიყვანეს მრავალ რიცხოვნება შაგირდთა. შეიქნება თუ არა ლაპარაკი, შაგირდების ზნეობის დაცემაზე მაშინვე მიზეზათ ინსპექციას შაგირდების მრავალ რიცხოვნება მოჰყავს. ერთი სიტყვით, ეს შაგირდების მრავალ რიცხოვნება, როგორც სჩანს, ამ სასწავლებლის დამღუპველი ყოფილა. მართლაც, უნდა ვსთქვათ, რომ არსად არ მოინახება, არა თუ ჩვენ საქართველოში, არამედ მთელ რუსეთშიაცა, ისეთი სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელი, სადაც იმდენი შაგირდი იყოს, რამდენიც ჩვენ სასწავლებელშია. ამ ერთ სასწავლებელშია თოთხმეტი კლასი და წელიწადში ამ ერთი სასწავლებლის შესანახავად იხარჯება ყოველ წლობით თვრამეტი ათას მანეთამდე. თითო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის შენახვა სასწავლებლის წესდების შტატის წყობელობით დაჯდება ყოველ წლობით არ უმეტეს რვა ათასი მანეთისა, თუ სამღვდელოება სასწავლებლისათვის სახლს ააშენებს. იმერეთის სამღვდელოებას ჟუთაისის სასულიერო სასწავლებლის შესანახავად ეხარჯება ყოველ წლობით თორმეტი ათასი მანეთი.

ჩვენის აზრით, დრო არის სამღვდელოებამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და მეორე სასწავლებლის გახსნაზე მოიფიქროს და ამ სასწავლებელს მოაცილოს ექვსასდელი პარალელური და მოსამზადებელი კლასები. სამღვდელოებას ეს საქმე, როგორც გვახსომს ჩვენ, კიდეც გარდაწყვეტილი აქვს ერთ ყრილობაზე და ეხლა მხოლოდ საქმე მდგომარეობს ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში. სამღვდელოებას მეტი ფულიც, რომ დაეხარჯოს მეორე სასწავლებლის გახსნისათვის, მაინც არ იქმნება წაგებული, რადგან შაგირდების რიცხვის შემცირება ძლიერ დაეხმარება სასწავლებლის საქმეების წარმატებით წაყვანას. სხვა ეპარხიებში ყოველ მაზრაში არის თითეული ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი და ჩვენში ოთხ მაზრაში მხოლოდ ერთად ერთი ოთხ-კლასიანი სასწავლებელი გვაქვს. ნუ თუ ოთხ მაზრაში ორი ოთხ-კლასიანი სასწავლებლის დაარსება არ შეიძლება?

ეხლა მაინც ამ სასწავლებლის გაყოფა ძლიერ ადვილად მოსახერხებელია. თუ ჟუთაისს გარეშე გაკეთდება სასწავლებელი, მაშინ სხვა თადარიგი მართებს სამღვდელოებას. მაგრამ ჟუთაისშივე თუ გაიხსნა, მაშინ ეს საქმე ძლიერ ადვილი მოსახერხებელია. სტრუიცკიმ, არ არის დიდი ხანი, იმერეთის ეპარხიას შემოსწირა მშვენიერი სახლები ჟუთაისში ბაღით და ეკკლესიით. ამ სახლებს რომ კიდეე მოუმატონ შენობა, სრულიად საკმარისი იქნება მეორე სასწავლებლისათვის. ეს სახლები დღეს ძლიერ მიყრუებულად არიან და არც არაფერ მაგდენ სარგებლობას იძლევა. ეს სტრუიცკის სეული ადგილი და სახლები მშვენიერ ალაგას არიან და შემკობილია ყველაფრით. სახლის აშენება იმა ადგილას, სადაც სტრუიცკის-სეული მამულია, ძლიერ საადვილოა; სილა ახლოს არის, ეკლარის ქვაც ახლოს აქვს. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ქალაქი მუქთათ მისცემს სატეხ ქვას და სხვეფრათაც ცოტა შემწეობას აღმოუჩენს.

ბრო არის, დრო, ამ კითხვას ყურადღება მიაქციოს სამღვდელოებამ და განთავისუფლდეს ნიად საყვედურის სმენისაგან სასწავლებლის შაგირდების მრავალ რიცხოვნებისა გამო.

იმერეთის სამღვდელოების მეოცდა-ერთე შეკრებილება ქ. ჟუთაისში.

ნოემბრის 16, 17 და 18 რიცხვებში იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებს შეკრებილება ჰქონდათ ქალაქს ჟუთაისში. ეს შეკრებილება მე-XXI არის სამღვდელოების შეკრებილებათა დაარსებიდამ. პირველ დღეს სამღვდელოების დეპუტატები, ცუდი ამიდის გამო, ვერ შეიკრიბენ. 17 ნოემბერს კრების შესადგენად შესდგა საკმაო რიცხვი დეპუტატთა თავს-მჯდომარედ დაფარული კენჭის ყრით სამს კანდიდატებ შორის თითქმის მთელმა კრებამ აღირჩია მღვდელი დ. ღამბაშიძე, რომელსაც ყოველ კრებაზე ირჩევს სამღვდელოება. თავს-მჯდომარის აღრჩევის შემდეგ კრებაში მობრძანდა ეროვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი ზაბრიელი და დაწვლილებით მოელაპარაკა სამღვდელოების შეკრებილებას შესახებ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების დაარსებისა. ეროვლად სამღვდელომ განუმარტა კრებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ამ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებს ზნეობის გავრცელებაზე და დამყარებაზე ხალხში, გამოუცხადა კრებას, რომ მას განსაკუთრებითი ყურადღება ექმნება მიქცეული ყველა იმ პირებზე, ვინც იზრუნებს ამისთანა სკოლების დაარსებაზე. *)

ჰეორე საგანი, რომელზედაც ეროვლად სამღვდელომ კრების ყურადღება მიაქცია, იყო ქართული საეკკლესიო გალობის აღდგინება. ეროვლად სამღვდელომ მოუთხრა კრებას თფილისში ქართული საეკკლესიო გალობის აღდგინებისათვის დაარსებული კომიტეტის მოქმედების ამბავი. მან უთხრა კრებას: „თფილისში არსებობდა ერთი საზოგადო კომიტეტი ქართული გალობის აღდგენისა, რომელიც ზრუნავდა გურული და ქართლური გალობაების კილოს აღდგინებას ნოტებზე გადაღებით. მაგრამ ალექსანდრე ეპისკოპოსმა მიიღო თავის თავზე ქართლური კილოს გალობის ნოტებზე გადაღება თავისი ხარჯით და იმერული კილოს გალობის აღდგინება ჩვენვე შემოგვატოვა. ამაზედ ექსარხოსისაგან მიეიღე მე მოწერილობა, რომ აქ ჩვენ ცალკე კომიტეტი აღვირჩიოთ და ჩვენვე ვიზრუნოთ იმერული გალობის ნოტებზე გადაღებისათვის. მოიფიქრეთ ამ საგანზედ კარგად და დანიშნეთ კომიტეტი, რომ ამ საქმეს წაუძღვეს და ყველასთვის საგულის-გულო საქმე აღსრულდეს.“

ეროვლად სამღვდელო ამ სიტყვების თქმის შემდეგ შინ წაბრძანდა. კრების თავს-მჯდომარემ შეკრებილების სხდომა გახსნა და დეპუტატები შეუდგნენ საქმეების სჯას. ამ შეკრებილებას სულ ოცი სხვადა-სხვა კითხვა და საქმე ჰქონდა განსასჯელად და გარდასაწყვეტად. ბალობის აღდგინების თაობაზე ბევრი სჯა და ლაპარაკი ჰქონდათ. ამ საქმეზე სჯის დროს მოწოდებული იყო ბ. ფილიმონ ქორიძეც, რომელმანც სამღვდელოებას თავისი აზრი გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ გამოუცხადა. კრებამ აღირჩია ექვსი სამღვდელო პირი კომიტეტის წევრებად ბლაღოჩინის მღვდლის დავით ღამბაშიძის თავს-მჯდომარეობით და მიანდო მათ ყოველივე ზრუნვა და მეცადინეობა იმერული კილოს გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ. ეხლა ამ კომიტეტის გამჭრიახობაზე არის გალობის საქმე დამოკიდებული. ეველას იმედი აქვს, რომ გალობის საქმე კარგად წავა...

ჰეორე კითხვა, რომელზედაც სჯა ჰქონდათ სამღვდელოებას, იყო მომავალი წლის სასწავლებლის ხარჯის აღრიცხვის (смѣта) დამტკიცება. წინა წლებში თითქმის თორმეტი ათასი მანეთი (12.000 მან.) უნდებოდა სასწავლებელს ხარჯად და ასე მტკიცდებოდა თითქმის ხარჯიც. მომავალი წლისთვის სასწავლებლის ხარჯად ნაჩვენები იყო თუთხმეტი ათას მანეთზე კიდევ ცოტა მეტი (15.000 მ.) აი რისთვის ემატებოდა ეს ხარჯი მომავალ წელში. წინეთ ჩვენს სასწავლებელში ზედამხედველს გარდა თითქმის მასწავლებლებათ სემინარიაში კურს შესრულებულნი იყვნენ. ამ სემინარიელებს შტატის დებულობით თორმეტ შტატის გაკვეთილის მიცემისათვის ეძლევათ ჯამაგირათ სასწავლებლის წესდებით ოთხას ოცი მანეთი და შტატის რიცხვზე მომატებულ გაკვეთილებში თითო გაკვეთილზე—ოც-ოცი მან. ბოლოს დროს, როდესაც აკადემიაში კურს შესრულებულნი გამრავლდნენ, მოითხოვეს, რომ ოთხ-კლასიან სასწავლებლებშიაც აკადემიაში კურს შესრულებულნი დანიშნულიყვნენ მასწავლებლად. აკადემიელებს პირველ ხუთს წელიწადში თორმეტი გაკვეთილისათვის აქვსთ დანიშნული ჯამაგირად შვიდას ოცი მან. და ხუთის წლის შემდეგ—ცხრაასი მანეთი. თორმეტი შტატის გაკვეთილებს გარდა თუ კიდევ აძლევს გაკვეთილებს, თითო გაკვეთილში პირველი ხუთი წლის განმამავლობაში ეძლევათ ხუთი თუმანი, ხოლო ხუთის წლის შემდეგ ექვსი თუმანი. სასწავლებლის ნორმალურ კლასების მასწავლებლებს საეკკლესიო

*) ჯერ კიდევ არ არიან აღრჩეულნი იმერეთის ეპარხიაში სამასწავლებლო რჩევის წევრები, რომელთაც ირჩევენ ადგილობითი ეპისკოპოსები და ამტკიცებს უწმიდესი სინოდი.

ხაზინიდამ ეძლევათ ჯამაგირი და სამღვდელოებას არავინ არაფერს ჰკითხავს. სასწავლებლის წესდების ძალით სასწავლებლის ოთხ კლასებს თუ პარალელური განყოფილება მოემატა, ანუ სამღვდელოებამ მოსამზადებელი კლასების გახსნა ისურვა, ამათი ხარჯი მთლად სამღვდელოებამ უნდა იკისროს. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ოთხი კლასის მაგიერ თოთხმეტი კლასი არის. ამ კლასებში ოთხ კლას გარდა ყველა კლასები სამღვდელოების შესანახავია. მოსამზადებელ და სასწავლებლის პარალელურ კლასებში სამღვდელოებას მასწავლებლებათ ჰყავდა სემინარიელები. შტატის ჯამაგირით სემინარიელებიც კმაყოფილნი იყვნენ და სამღვდელოებაც, მაგრამ ეხლა თხოულობენ, რომ პარალელურ განყოფილებაშიაც აკადემიელები დაინიშნონ და სამღვდელოებას წინადადებას აძლევენ, რომ მათ ჯამაგირი მისცენ ზემოხსენებულის ანგარიშით. ამაზედ ჰქონდა წინადადება მიცემული იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებსაც ეხლა. სამღვდელოება ჯერ დღესაც სასწავლებლისათვის იხდის ყოველ წელს თორმეტ ათას მანეთს. სემინარიის გასახსნელად ხაზინიდამ, მიღებული შემწეობიდამ შეაქვს ნახევარი, ე. ი. ოცდა ხუთი ათასი მანეთი (25,000 მ.) ამის გამო სრულებით აღარ შეუძლია სამღვდელოებას, რომ კიდევ რაიმე ხარჯი მოიმატოს. კრებამ დაადგინა ამ კითხვაზე შემდეგი განაჩენი: ,,ეთხოვოს მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს არხიეპისკოპოსს პავლეს, რომ მოხედოს ჩვენს უკიდურესსიღარიბეს და სრული შემწეობის მიღებამდე ხაზინიდამ მოგვეცეს ნება პარალელურ განყოფილებებში და მოსამზადებელ კლასებში სემინარიელები დაშთენ მასწავლებლად. და თუ მიუცილებელია აკადემიელის დანიშვნა, იმათაც სემინარიელის ჯამაგირი დაენიშნოსთ. იმედია, ექსარხოსი იშუამდგომლებს სადაც ჯერ არს, რომ პარალელურ კლასებში ისევე დაშთნენ მასწავლებლებად სემინარიელები, და თუ დაინიშნებიან აკადემიელები, სემინარიელების ჯამაგირით დაკმაყოფილდნენ.

სასწავლებლის სამმართველომ მიაქცია კრების ყურადღება სასწავლებლის საავათმყოფოზე. ის ითხოვდა საავათმყოფო სახლის ქვემო სართულის კარგად მოწყობას, რომ ავათმყოფების დაწვენა შეძლებულიყო ქვემო სართულში. ამას წინეთ სამღვდელოების შეკრებილებამ დანიშნა კომმისია სასწავლებლის 1882 და 1883 წლების ხარჯის შესამოწმებლად. ამავე კომმისიას კრებამ მიანდო შეემოწმებია მოხდენილი ხარჯი საავათმყოფო სახლის აღშენებისათვის. ამ კომმისიამ წარუდგინა კრებას თავისი ანგარიში. აღმოჩნდა, რომ საავათმყოფო სახლის ასაშენებლად სასწავლებლის ნაზედამხედველარს ბ. იაკობ ფხაკაძეს დაეხარჯა ოთხი ათას მანეთზე მეტი. ამ მოხდენილ ხარჯზე არც სმეტა ყოფილა შედგენილი, არც ვაჭრობა მომხდარა შენობის საწარმოებლად და არც სხვა შენობის მოხდენისათვის დადგენილი კანონები ყოფილა დაცული. წინეთ ზედამხედველი ასათიანი გარიგებია კარების და აკოშკების გაკეთებას ერთ ოსტატს. მას გაუკეთებია, ფულიც მიუღია, მაგრამ სრულებით არ გამომდგარან. მერმე ფხაკაძე შერიგებია სხვას და გაუკეთებია, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ისინი არიან საიმედონი. სასწავლებლის საავათმყოფო დღეს მოთავსებულია ამ შენობის ქვემო სართულში. სასწავ ლებლის ექიმის აზრით სრულებით არ ვარგა ქვემო სართული ავათმყოფების დასაწვენათ, რადგან იგი ძლიერ ნოტიოა და არც აქვს ფეხის ადგილი. მაგრამ რა ვქნათ, რომ ზემო სართული უჭირავს ზედამხედველის თანაშემწეს? კომმისიას სხვაც ბევრი რამეები აღმოეჩინა, რომელზედაც პასუხს სთხოვენ ბ. ფხაკაძეს.

სამღვდელოებამ სამასი მანეთი დანიშნა ავათმყოფი შაგირდების საექიმოდ და მათ სარჩოდ. საავათმყოფოზე ხარჯი სამღვდელოებას აგერ ათას მანეთზე მეტი მიუდის. ამ ფულებით, ვგონებ, ქუთაისის ღოსპიტალშიაც რომ გაგზავნონ ავათმყოფი შაგირდები მეტი აღარც იქ დაეხარჯებათ.

სხვა საგნებზედაც ჰქონდა შეკრებილებას მსჯელობა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველა კრების მსჯელობის და მოქმედების აღწერა აქ ჩვენ არ შეგვიძლია.

გორიდამ.

ჩვენს საქართველოში ბევრგან არიან ისეთი ეკკლესიები, რომლებშიაც მლოცველები შორეული ადგილებიდამ დაიარებიან შესაწირავად და ღამის სათევად. ამისთანა სალოცავების რიცხვს ეკუთვნის გორის ჯვრის წმიდის გიორგის ეკკლესია. ეს ეკკლესია აშენებულია ერთს მაღალს მთაზე, ქ. გორიდამ სამხრეთით. ამ ეკკლესიის დღეობა წელიწადში ორჯერ არის: ერთი აპრილის ოცდა სამს და ერთიც გიორგობის თვის ათს. ეს სალოცავი თუმც სხვა სალოცავებს ვერ შეედრება მლოცველების რიცხვით, მაგრამ არც ნაკლებია სხვაზე. არამც თუ ამ დღეო-

ბაზე დაიარებიან აქ მლოცველები, არამედ ყოველ კვირა-უქმე დღეს ნახავთ აქ სამ-ოთხ მეოჯახეს, სალოცავად მოსულს. ამ მლოცველებისაგან ეკლესიას კარგი შემოსავალი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეკლესია და მისი ეზო ისე დაუდევრად და უსუფთაოდ არის მიგდებული, რომ მეტი არ შეიძლება. ძველი ეკლესიის მაგიერად აუშენებიათ ახალი ეკლესია და ძველისთვის დაუნებებიათ თავი; რადგან ძველ ეკლესიას სახურავი არ უარგა, შიგ ჩამოდის წყალი და ახდენს მშვენიერ ძველი დროის მხატვრობას, რომელიც ძლივსღა გამოსჩანს მტვერში და მურში. კაცი არ გამოჩენილა, რომ ამ ძველი ეკლესიის დახურვა და შეკეთება ედოს თავზე და მით დაეფარა ძველი დროის მხატვრობა.

Ⴐრეულს ამ ეკლესიის ერთ-ერთ დღეობაზე მეც დავესწარი. მინდოდა მამა-პაპის სალოცავში მეც შევედრებოდი Ⴖმერთსა. მაგრამ სულ რომ არ მივსულიყავი, უკეთესი იქნებოდა. გზაზე ბევრი მლოცველები შემომხვდნენ, რომელნიც დაჩარდახებულ ურმებში მჯდომარენი შინისკენ მიდიოდნენ და ბევრნიც წირვის მოსმენას უცდიდნენ. მიუახლოვდი ეკლესიის გალავანს თუ არა, დავინახე ერთი მოხუცებული კაცი, რომელიც ეკლესიაში მიმავალს ხალხს მისძახოდა: ,,შინიდგან რათ მოგაქთ წმიდა სანთელი, განა აქ ვერ იშოვიდით? აი სანთელი, მოდით და იყიდეთ''. როგორც ამ მოხუცის ლაპარაკისაგან გავიგე, ის იყო ზორელი სომეხი, რომელსაც უხსოვარი დროიდგან ჩაუგდია ხელში წმიდა სანთლის ვაჭრობა. გასაკვირია Ⴖმერთმანი! სად მართლ-მადიდებლი ეკლესია და სად სომეხი და ისიც წმიდა სანთლის გამსყიდველად! შევედი ეკლესიის დერეფანში; აქ იდგა ერთი მოზდილი ქვევრი, რომელსაც თავს ადგა ერთი კაცი და სიჩქარით სცლიდა ზედაშათ შემოწირულს ღვინოებს. აქვე იდო ფეხებ შეკრული მამალი და სხვა რაღაცები. შეველ ძველს ეკლესიაში. კედლებზე შევნიშნე რაღაც უბრალო სურათებიანი ქაღალდები, რომელნიც ტყუილ-უბრალოდ ფარავდნენ ეკლესიის მშვენიერ ძველი დროის მხატვრობას. სულიერი მამა იდგა საკურთხევლის კარებში და ავედრებდა Ⴖმერთს მლოცველებს შემდეგი სიტყვებით: ,,შენი მლოცველია, მთავარ მოწამე გიორგი და შენი წყალობა მოანიჭე.'' Ⴄკლესიაში შემოეყვანათ ერთი ახალგაზდა კაცი, რომელსაც ხელები თოკით ჰქონდა დიდ დამნაშავესავით შეკრული. ამ კაცს თვალები მეტად ამღვრეული ჰქონდა და ეტყობოდა, რომ ჭკუაზე იყო შეშლილი. პატრონმა სხვისი შემწეობით გამოიყვანა ეს კაცი ეკლესიის დერეფანში, გააწვინეს მიწაზე და ყველას ეხვეწებოდნენ, რომ მასზე გადაებიჯებიათ. ეს ალბათ ავად-მყოფის პატრონს რომელიმე გაიძვერა მკითხავმა ურჩია და ისიც ისე იქცეოდა; მაგრამ აქ სამწუხარო ის არის, რომ სულიერი მამა, ამის შემხედვარე, დარიგებას არ აძლევდა ავად-მყოფის პატრონს და არ ურჩევდა, რომ ავად-მყოფი ექიმთან მიეყვანათ.

Ⴄკლესიიდგან გამოვედი ეზოს დასათვალიერებლად და უფრო უწმინდურობა შევნიშნე: ეკლესიის გარშემო სულ მოთხვრილი იყო მიწა ცხოველების სისხლით და აქვე ეყარა ცხვრის შიგნეულობა. აქვე იყო ჩარჭობილი დიდი ხის ნაჭრები ხორცის დასაჩეხად. Ⴄრთი სიტყვით ეკლესიის ეზოში მეტად დიდი უსუფთაობა არსებობდა და კაცი არ იყო, რომ ამაზე ყურადღება მიექცია და პირუტყვების დაკვლა მაინც აღეკრძალა ეკლესიის გალავანში. ცოტა ხნის შემდეგ დადგა წირვა ახალს ეკლესიაში. შევედი წირვის მოსასმენად, მაგრამ არ ვიცოდი წმიდა სახარების კითხვისთვის მეგდო ყური, თუ ეკლესიის გალავანში მოჭიჭყინე არღნებისათვის. განა სულიერ მამას არ შეეძლო, რომ Ⴖვთის მსახურების დროს მაინც დაეშალა არღნების დაკვრა ეკლესიის გალავანში და აეხსნა მლოცველებისათვის მიზანი მათი სალოცავში მოსვლისა? როცა წირვა გათავდა, ზოგი მლოცველები თავიანთ სახლებში წავიდნენ და ზოგნი იქავ დასხდნენ საქეიფოდ.

Ⴄრთი სიტყვით დრო არის, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ ყურადღება მიაქციოს, ეკლესიების სისუფთავეს და იმეცადინოს, რომ ჩვენი ეკლესიები თავიანთი გალავნებით ისე იყონ მოწყობილნი, რომ მათმა დანახვამ მლოცველებში აღძრას რელიგიური კრძალვა.

Ⴄრთი მლოცველთაგანი.

პოლიტიკური მხარე ამბროსი ნეკრესელის ქადაგებებში. *)

Ⴈქნება მღვდელ-მთავრის მოწოდებამ კვალად აღაგზნო ერში მამულის დაცვის სურვილი?! იქნება უსმინა ხალხმა გულ-მწუხარე მწყემსს?! იქნება ასრულდეს მისი მხურვალე ლოცვა-წადილი, მიმართული მისგან ბრძოლად მიმავალ ბაგრატისადმი: ,,Ⴓფალმან დასცეს და შემუსროს მტერი და მებრძოლი

*) იხილე ,,მწყემსის'' № 22.

თქვენი, გვასმინოს ძლევა—შემოსილება თქვენი, გვახაროს გამარჯვება თქვენი“—და ალამ-დროშა ბაგრატის ჯარისა იყოს დროშა მძლეველი, მახარებელი გამოხსნისა?!.. მაგრამ არა! ერში არ ილგზნება შემაერთებელ-შემაკავშირებელი სურვილი მამულის დაცვისა, ერი განიბნევის, როგორც ცხოვარნი უმწყემსოდ; სამეფო განყოფილი ინთქმება. მქადაგებელი შესტირის ცას: ,,ჵი საშინელო ღმერთო! ნეტარ ასე გულის წყრომით რაზე განგარისხეთ და განგამწარეთ, რომ ამ შესაძრწუნებელის ზრძანებით გვემუქრები“; ,,მოიხილე ჩვენზედა მოწყალებითა, დაამდაბლე და დაეც მოშურნე მტერი საქართველოისი“; ,,როგორც ჩვენისა სიყვარულისათვის ჯვარცმითა და სისხლის დათხევითა საუკუნოს ჯოჯოხეთიდამ გამოგვიხსენ, ეგრეთვე ქვეყანა ესე ჩვენი საქართველო გამოიხსენ“. ,,დაეც და შემუსრე მტერნი ჩვენნი უსჯულონი აღმოხრებელნი ქრისტიანობისანი და სიქადული მათი დაამდაბლე, გარდამოგვივლინე ზეგარდმო კაცთ-მოყვარებითი შენი მოწყალება“; ,,თვით შენ უწყი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა მიმართ წილხდომილებათ საქართველოსი და გვევედრებით უსჯულოთაგან გამოხსნისა ჩვენისა“. ,,ეჰა საკვირველთ მოქმედი მოწყალება შენი, იესო! ეჰა აურაცხელი სიტკბოება შენი შენს მოსავს ერზედ, იესო!“ ,,ჵი დიდებულო მთავარ ანგელოსო მიხეილ! ესოდენნი მტერნი ჩვენნი, მდევნელნი და მარად შემაწუხებელნი ჩვენნი მოსწყვიდენ, აღაოხრე და წარწყმიდე სახელები მათი და გამოგვიხსენ ესოდენისა შეჭირვებისაგან“. ,,ჵი სადა ხარ, სად განისვენებ, წმიდაო დიდო მთავარ-მოწამეო მერკვირი! განილვიძე, აღზდეგ და წარმოდეგ უძლეველი ეგე მხედარი და დაეც მტერი ძრიელითა მკლავითა შენითა და გამოგვიხსენ ესოდენნი ერნი მოსავი ქრისტეს ჯვარისა“. ,,განილვიძე შენცა, მთავარ-მოწამეო წმ. გიორგი, და გამოიხსენ ეგოდენნი ერნი გესლიანისა მისგან უსჯულოდ შეკრებულისა ჩვენზედ აღძრულისა მტერისა“. ვევედრნეთ, ვევედრნეთ, შვილნო, იესოს, რომ ,,ვითარცა ჩვენის სიყვარულისათვის თავისის უკვდავის სისხლის დათხევით საუკუნოს ჯოჯოხეთიდამ გამოგვიხსნა, ეგრეთვე გამოიხსნას საქართველო უსჯულო მტერთაგან. მოჰკვეთოს ჩვენგან უსჯულონი და შემაწუხებელნი ჩვენნი და მშვიდობის ხმა გარდმოუვლინოს საქართველოს ერს“, ,,მოვედით სიყვარულით თაყვანი ვსცეთ, ვევედრნეთ ერთბამად ცოდვილნიცა და მართალნიცა დედასა ღვთისასა ღვთისმშობელს მარიამს, გამოგვიხსნას უსჯულოთა მტერთაგან, მშვიდობა მისცეს თავის წილხდომილ საქართველოსა, ითხოვოს ჩვენთვის შეოხება ქრისტეს მიმართ ძისა თვისისა“.

ყოვლად მოწყალე ღმერთი არა სრულიად დაუტევებს თვისთა მოსავთა: თუმცა ცოდვისაგან ტვირთ მძიმე ერმა ვერ შესძლო მტერთაგან დაცვა თვისი, მაგრამ მას აუჩნდა მწე ჩრდილოეთით. მქადაგებელმა შენიშნა მწე და მის გულში კვალად განილვიძა ხსნისა იმედმა. მღვდელ-მთავარი მიჰმართავს ღმერთს: მეუფეო! ,,შთაუთხარ გულსა დიდსა იმპერატორს ალექსანდრეს ჩვენზედ მოწყალება, რათა დაამდაბლოს მტერი და საქართველოს მშვიდობა აღირსოს“; ღვთისა დედაო! ,,ევედრე, კვალად ევედრე დიდისა ხელმწიფისა იმპერატორისა ალექსანდრე პავლეს ძისათვის. განსაძლიერებელად, განსამტკიცებელად და აღსამაღლებელად; ევედრე, რათა დაუმდაბლნეს და დაუმორჩილნეს ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მათნი და განამტკიცოს და განამხნევოს ჩვენზედ მოწყალებითა და შეწყნარებითა, ჩვენის ქვეყნისა და ერისა უსჯულოთა მტერთაგან დაცემულობა და ესოდენი დამდაბლება აღადგინოს და აღმართოს. შთაუთხარ გულსა მისსა შეწევნა და შეწყნარება ჩვენი“. ვითხოვოთ, მორწმუნენო, ,,ჩვენის მფარველის ხელმწიფის ალექსანდრე პავლეს ძის ჩვენზედ მოწყალება და ჩვენის ქვეყნის დაცვა და დაფარვა“... მწემ უკვე ხელი აღუპყრა საქართველოს: ,,დიდი იგი იმპერატორი პეტრე პირველი, მოწყალე საქართველოისა, ისწრაფდა აღდგინებასა დაცემულებისა ჩვენისასა, ვითარცა იმპერატრიცანი ასულნიცა ელისაბედ და ეკატერინა, არამედ ვერღარა უსწრო ჟამმან საწუთროსამან, გარნა დიდმა იმპერატორმან ამან ალექსანდრე წინა უსწრო და გვახარებს აღდგინებასა დაცემულებისა ჩვენისასა“; მან ,,უფრო თავს გამოიდვა ჩვენი შეწყალება და კიდეც აღასრულა ძალითა, ჯარითა, ხაზინითა, რიგის მიცემითა და ჩვენის მტრების შეშინებითა“; მან წარმოგზავნა მონანი თვისნი, რომელნიცა ,,საშინელთა ანგელოსთაებრ შეჰრისხენ პირქვე დამაკვეთებელნი აგარიანთანი, ხოლო ერთა საქართველოსათა ნუგეშინისცემენ“, ,,იგინ გვახარებენ, ვითარც შვილთა თვისთა:“ ნუ სტირთ, ნუ მწუხარე ხართ, რამეთუ აღდგინებულ არს საქართველო და დაცემულ არს მტერი და ნუგეშინის-ღა, რამეთუ აჰა ესე რა გამოხსნილნი ხართ ხელთაგან მათთა; განიხარეთ! განიხარეთ!“.

დიალ, გვახარებს მხსნელი ხსნას და ,,თანაგვიბრძანებს სრულითა სიყვარულითა: აჰა ესე რა ცოცხალ იქმენით ძალითა ქრისტესითა და შეწევნითა ხელმწიფებისა ჩემისათა, რამეთუ სიმართლით არიან

ყოველნი სიტყვანი პირისა ჩემისანი", გარნა „ნულარა ჰსცოდავთ, რათა არა უძვირესი რაიმე გეყოს თქვენ", გვიწერს „უმაღლესი ბრძანება და მანიფესტი მტკიცითა და ჭეშმარიტის მორჩილებითა შევიწყნაროთ ყოველითა სულითა, გულითა და გონებითა, რამეთუ აჰა ესე-რა — აუწყებს იგი — შეწყალებითა მაგათთვის აღმიღიეს სპა-ჯარ-მხედრობითა ჩემითა ჭური და ფარი შემწედ საქართველოსა და აჰა აღესდეგ და განეჰფინო წინა კერძო მდევართა ჩემთა მტერთა ზედა საქართველოსათა; გარნა ერ ოგულ და მორჩილ იქმნენ იგინი ბრძანებისა ჩვენისა და არცა ცვალებულ ჰყონ პირნი და გულნი მათნი, რამეთუ საძაგელ არს წინაშე ჩემ-ა ბაგენი ცრუნი". ამა მოწყალებათათვის ჩვენ „ყველას მადლობა გვმართებს Ივთისა და იმისი ხელმწიფებისა, გვმართებს „ელოცევედეთ ყოველნივე ერთბამად ერთითა პირითა და გულითა უდიდებულესსა იმპერატორსა", გვმართებს „მორჩილებითა და სიყვარულითა მონება და სამსახური მისი, ვითარცა დასწერს ყოვლად ბრძენი იგი იგავსა შინა: „გეშინოდეს Ივთისა და მეფისა და ნუ ერთსა მათსა წინააღუდგები".—

ვ. ბარნოვი.

ანტონი მეორე, უკანასკნელი ქათალიკოზი საქართველოისა.

1788 წელსა, 29 ფებერვალს გარდაიცვალა საქართველოს ქათალიკოზი ანტონ პირველი, შვილიშვილი მეფის თეიმურაზისა. ამის მოადგილედ გახდა მეფის ირაკლი მეორის შვილი ანტონი, რომელიც დაიბადა 8 იანვარს, 1762 წ. ამის სახელი იყო პირველად თეიმურაზი. ანტონ მეორის ცხოვრება დაკავშირებულია თვით ჩვენ წარსულ ცხოვრებასთან და ბედთან. პირველად ანტონ მეორემ მიიღო ჯეროვანი განათლება თავის სამშობლოში და შემდეგ ცოტა ხნობით იმყოფებოდა საბერძნეთში. ანტონი შევიდა მონასტერში ბერად, აქ მალე მიიღო მან იერო-დიაკონობა. 1783 წელსა, შობიდგან ოცის წლის, იერო დიაკონი ანტონი წავიდა რუსეთში, სადაც იგი დიდის პატივის ცემით მიიღეს, რადგან ის შვილი იყო მეფის ირაკლი მეორისა. 1784 წელსა თხოვნისამებრ მეფის ირაკლისა იგი განამწესეს მღვდელ-მთავრად და სახელ-დვეს—ნიკორ წმიდელი. 1789 წლამდის ანტონი სცხოვრებდა რუსეთში და შემდეგ კი მამამ—ირაკლიმ იგი გამოიწვია იქიდგან და მისცა ქათალიკოზობა საქართველოისა. ამ დროს ანტონი იყო ოცდა ხუთის წლისა. მიიღო თუ არა ანტონმა ქათოლიკოზობა, მაშინვე შეუდგა ცდას, რათა ქართველების გულში კვლავ აღედგინა ის სიყვარული სარწმუნოებისა და მამულისადმი, რომელიც მამა-პაპების გულს ათრთოლებდა და რომელიც იყო წყარო მათი პოლიტიკურის თვით—არსებობისა. ანტონი იყო აღჭურვილი დიდ მნიშვნელოვანის მჭევრმეტყველებითა, რათა ჯურღმულისაგან კვლავ აღმოეყვანა დაცემული ზნეობა ქართველებისა და ბნელში მყოფი ქართველი ერი აღეყვანა მაღალს წერტილზედ, საიდგანაც მას შესძლებოდა სინათლის ცქერა და ბედნიერება. მაგრამ ანტონის სიტყვებმა და მისმა გულ-შემტკივნელობამ ვერ იმოქმედა ქართველ ერზედ და იგი თანდათან უკან იწევდა, როგორც პოლიტიკურის, ეკრეთვე ზნეობრივის მხრით. მიმხედველნი ქართველების ეგეთის არა სანატრელი მდგომარეობისა ირაკლი მეორე და ანტონი იძულებულნი იყვნენ, რათა ეთხოვათ რუსებისაგან მფარველობა და საუკუნოდ მიეცათ მათთვის თვისი ტახტი. ოცი წელიწადი მსახურებდა ანტონი თავის ქვეყანაში, მშვიდობიანად და უშფოთველად ატარებდა ანტონი თავისს სიცოცხლეს საქართველოში, 1810 წლამდე. ბოლოს კი ერთმა მიტროპოლიტმა ვარლაამმა წაჰკიდა ანტონი თბილისის მიტროპოლიტს არსენის. ანტონმა დაუტევა თვისი სამშობლო და 1811 წელს წავიდა რუსეთში. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ანტონი დანიშნა უწმიდესის სინოდის წევრად და მისცა მას ანდრია პირველწოდებულის ორდენი. მასთანვე ანტონის დაუნიშნეს 54000 მანეთი (ორმოცდა თოთხმეტი ათასი). სხვადა-სხვა მიზეზთა გამო ანტონიმ დასტოვა პეტერბურღი და საცხოვრებელ-ადგილად აღმოირჩია ნიჟნი-გოროდი, სადაც სცხოვრობდნენ მისი მემამულეები. აქ იგი მოვიდა 1824 წელსა. ნიჟნი-გოროდში იყო ერთი ეკლესია — პოკროვისა, რომელშიც ანტონს უყვარდა Ივთის მსახურების მოსმენა. თვითონ ანტონი ძრიელ იშვიათად ასრულებდა Ივთის-მსახურებას და იმასაც ჯვართ-ამაღლების მონასტერში (Крестовоздвиженскій монастырь), სადაც თავის წესს ის ამბობდა ქართულ ენაზედ და მგალობლები კი გალობდნენ რუსულად. ანტონის უწოდებდენ უუნეტარესად და უწმიდესად. ანტონის უყვარდა სამშობლო ენა და განსაკუთრებით იგი კითხულობდა თავის წინა მოადგილის ანტონი პირველის თხზულებებს. ანტონის ჰქონდა მაღალი ტანი, სრული ლამაზი და ცოცხალი სახე, გძელი წვერები, ღრმა, შავი თვალები და სქელი წარბები, ანტონიმ არ

იცოდა კარგად რუსული ენა და იგი ლაპარაკობდა მთარგმნელის შემწეობით. იმას არ ყოფნიდა თავისი ჯამაგირი, რადგანაც იგი უხვი და მოწყალე კაცი იყო და ბევრი მხლებლებიც ჰყვანდა. ანტონი გარდაიცვალა 1827 წელსა, 21 დეკემბერს, ათს საათზე დილით. ანტონის ფულად-ფული სიკვდილის შემდეგ დარჩა ოთხასი მანეთი, რაიცა არ კმაროდა მისის დასაფლავებისთვის. თავადმა ბიორგი ალექსანდრეს ძემ გრუზინსკიმ ივალა 6000 მანეთი ანტონის დასასაფლავებლად. დასაფლავების დღეს ძლიერ სცივოდა. ბევრს ხელები და ყურები გაეყინათ გზაზედ, როცა ანტონის მიასვენებდნენ. იგი მიასვენეს სკორბია-შჩენსკის სობოროში, სადაც წარმოსთქვეს სიტყვები სემინარიის რექტორმა არხიმანდრიტმა ბაბრიელმა და დეკანოზმა მ. ბიორგი პრუდენტოვმა. მაგრამ ეს სიტყვები, სავსენი ჰაზროვანებითა, არ მოვიდნენ ჩვენამდის. სხეული ქათოლიკოზისა იყო სკორბია-შჩენსკის სობოროში 14 წლამდის, და 19 სეკტემბერს, 1841 წელს გადიტანეს თავადის გრუზინსკის შემწეობით ფერიცვალების კათედრის სობოროში.

ი. ბ—ლი.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

X—XI.

ოკეთესი დღენი დაუდგა საქართველოს მეფე ვახტანგ მე VI დროს. თვით ვახტანგი იყო ღვთის მოყვარე, კეთილი, სწავლული კაცი. მან შეადგინა სჯულის კანონი, *) დამყარებული ქრისტიანებრივ სარწმუნოების სწავლაზედ და ამან დიდად დაიფარა ხალხი გარყვნილობისაგან და მაჰმადიანთა სწავლისაგან. აღიყვანა კათოლიკოზის ტახტსა ზედა ხარისხ ჩამოხდილი კათოლიკოზი (ღვთის მეტყველი და ფილოსოფოსი) ნიკოლოზ, რომლის სიკვდილის შემდეგ კათოლიკოსობა მისცა ძმასა თვისსა დომენტი III, რომლის დახმარებით შეუდგა იგი ეკლესიების აგებას, დანგრეულთა და გა ხრეებულთა მონასტერთა განახლებას. ქრისტიანობის დასამკვიდრებელად და სასულიერო წოდების გასამხნევებელად შედგენილ იქმნა კრება სწავლულთა პირთაგან. ამისთანავე პირთაგან შესდგა კომმისია, რომელმაც გამოიწვია და შეადგინა ისტორია საქართველოისა ბიორგი ბრწყინვალიდამ ვახტანგის დრომდის. მრავალნი სამღთო და საერო წიგნნი *) აღბეჭდილ იქმნენ პირველად საქართველოში ვასტანგისაგან დაარსებულ ტიპოგრაფიაში. აღბეჭდილნი სასულიერო წიგნნი იგზავნებოდენ საქართველოს ყოველ კუთხისკენ ეკლესიებ-მონასტრებში სახმარებლად. ვახტანგმავე დაარსა სასწავლებელნი, საცა ასწავლიდნენ ყველასა განურჩეველად წოდებისა და ხარისხისა: საღმრთო წერილსა, ფილოსოფიასა და სხ. ამგვარის მისის მოღვაწეობით, საქართველოს მონასტრებიდამ მალე დროში სწავლა-მეცნიერება დატრიალდა მთელს საქართველოში და ხალხი, ცოტა არ იყოს, მოსულიერდა, როგორც ზნეობრივის მხრით, ისე ნივთიერის. ვახტანგმა იერუსალიმის ტაძრებსაც მიაწოდა თვისი შეწევნა. მან იერუსალიმის ქართველთ ტაძრებს გაუგზავნა 2.000 თუმანი (20,000 მანეთი). ქეთილთა ბერ-მონაზონთა ამისთვის მეფეს გამოუგზავნეს სასწაულთ-მოქმედი ოქონის ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც ბოლო დრომდის ინახებოდა ბაენათის ტაძარში.

ამწუხაროდ ეკლესიისა და საქართველოისა, ოსმალნი, რომელთაც ეპყრათ დასავლეთი იერია, გადმოვიდნენ აღმოსავლეთის ნაწილშიაც, გაიმარჯვეს სპარსელებზე და აღიყვანეს ქართლის ტახტზე გამაჰმადიანებული იესე, წოდებული მუსტაფა-ფაშად. ვახტანგი კი, ფრიად შეწუხებული საქართველოს უნუგეშო მდგომარეობით, წავიდა რუსეთში **) შემწეობის სათხოვნელად წინააღმდეგ სპარსთა და ოს-

*) ესე კანონნი შეიცავენ:
1. თვით ვახტანგისაგან შედგენილ 276 მუხლთა.
2. ბერძენთა კანონებს—სულ 420 მუხლი.
3. სომეხთა კანონებს—სულ 431 მუსლი.
4. მეფის გიორგი VI კანონებსა—46 მუხლი.
5. აღბუღას კანონებსა, დაწერილთა 1446 წ.—სულ 176 მ.
6. მოსეს სჯულთა, გამოკრეფილთა დაბადებიდამ—სულ 52 მ.
7. კათოლიკოზთა კანონნი, შედგენილნი იმერეთის კათოლიკოზის ევდემონ II-საგან 1667 წ.—სულ 24 მუხლი.
8. ადგილობრივთა ჩვეულებათა, ძველებური დროიდგანვე დაშთენილთა ხალხში.—სულ 74 მუხლი.

*) ეს წიგნები არიან: სახარება, სამოციქულო, დავითნი, დაბადება, ლოცვანი, ქართლის ცხოვრება, ვეფხვის-ტყაოსანი, სჯულის წიგნი და მრ. სხვანი. ეს უკანასკნელი შემდეგში გადათარგმნილ იქმნა რუსულად და 1837 წ. დაიბეჭდა ჰეტერბურღში, სენატის გიპოგრაფიაში (პ. იოსელიანი).

**) ვახტანგისაგან რუსეთისადმი მიმართვა პირველი მაგალითი არ იყო. შემწეობის სათხოვნელად კახეთის მეფეთ ალექსანდრე I-მა (1492 წ.), ალექსანდრე II (1587 წ.), თეიმურაზ I (1619 წ.) მიმართეს რუსეთის ხელმწიფეთ იოანე III, თეოდორე იოანეს ძეს, მიხეილ თეოდორეს ძეს და იმითაც აღუთქვეს თვისი მფარველობა და შემწეობა (იხ. Ист. госуд. Рос. Карам. т. VI, გვ. 250, т. X, გვ. 63).

მალთა. იესემ ხელ-ახლა გაავრცელა მაჰმადიანობა, ააგო ზოგან მეჩეთები და მფარველობა დაუწყო მაჰმადიანთა. ქრისტიანთა მფარველნი და უღვთო მეფის გამკიცხავნი იყვნენ კათოლიკოსი დომენტი და დავიდ-ბარესჯის უდაბნოს წინამძღვარი იოანე საკაძე.

ჩუმცა სრულიად საქართველოს ჯერ-ჯერობით ჰფლობდენ ოსმალნი, მაგრამ სპარსელთ ფიქრადაც არ მოსდიოდათ მათთვის დაეთმოთ იგი. იგინი ხშირად ეცემოდნენ ჩვენ ქვეყანას და აოხრებდენ ეკლესიებს და ატყვევებდენ ქრისტიანებს. ამასობაში ოსმალნიც განდევნეს ამერეთიდამ, მაგრამ მალე (1723 წ.) დიდი ოსმალთ ჯარი წამოედავა სპარსელთა, დაამარცხა და განდევნა იგინი, გამოაცხადა თვისი მფარველობა ამერეთზედ და მას განუჩინა მმართველი — ფაშა, რომლის სატახტო ქალაქად გახდა თბილისი. სპარსელნი ხელ-ახლა წამოედავენ მათ. წაიკიდნენ დევები და შუაში კოზაკი გაჭყლიტესო, რომ იტყვიან, სწორთ ისრე მოუვიდა ჩვენს მხარესაც. საქართველოს ნიადაგზე ბრძოლამ ამ ორთა ხალხთა შორის ქვეყანა სრულიად გააოხრა, ზნეობით დასცა და გააღარიბა. მძლავრნი ოსმალნი ხარჯს გარდა კიდევ სხვაფრივაც ჰყვლეფავდენ არა თუ ხალხსა, თვით ეკლესიებსაც, მონასტრებსაც, ეპისკოპოსთაც. იმერეთის ხალხისაგან ყოველ-წლივ ფულს გარდა იღებდენ ხარჯად რამდენიმე ყრმასა და ქალსა, ამერეთზედაც გააწერეს ეს სამარცხვინო ხარჯი. ზოგიერთი იმერეთის ხალხი წარჩინებულნი იმდენად ზნეობა დაცემულნი იყვნენ, რომ ქრისტიანთა ჰყიდდნენ ოსმალთა ბაზრებში *). ამერეთის კათოლიკოზი დომენტი III საშინლად ჰკიცხავდა ოსმალთა. მაგრამ იგინი არას უგონებდენ; მაშინ დომენტი ვაჟკაცურად წარსდგა სტამბულის კარზედ სულთანის წინაშე, რათა აღხადოს საქართველოს მწარე ესე სასჯელი. ხოლო თბილისის ფაშის დაბეზღებით დომენტის არა-თუ შეუსმინეს, არამედ დამწყვდეულ იქმნა საბერძნეთის ერთ კუნძულზე. მცხეთის ტახტზე მოქრთამეობით აღვიდა ძირილე. ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაში იყო ივერია და, მაშასადამე ქრისტიანობაც. ქვეყანას ეჭირებოდა მშველელი და კიდეც აღმოჩნდენ. ესენი იყვნენ თეიმურაზ II და ერეკლე მეორე.

ჩეიმურაზი პატარაობიდგანვე აღიზარდა სპარსეთის კარზე. იგი იყო ახოვანი, მხნე და ერთგული სპარსეთის შაჰის ნადირისა. თეიმურაზი ერთგულობისათვის დანიშნულ იყო სპასპეტად სპარსეთის ჯარისა. ბანძვინებულმა ნადირმა თვით წამოიყვანა სპარსეთის მხედრობა, შეებრძოლა ოსმალთა ჯარსა (80.000 კაცი), სახელოვანად დაამარცხა იგი და აიღო ბანჯა, თბილისი, ერევანი და სხ. აქედგან წავიდა სპარსეთში და იქ გაიწერა ძე თეიმურაზისა ერეკლე, გამოჩენილი და განთქმული თვისის ვაჟკაცობით, მისი მამა თეიმურაზი კი დანიშნა მეფედ კახეთისა. 1744 წ. ერეკლეს მისცა ნადირმა სამეფო ქახეთისა და თეიმურაზს სამეფო ქართლისა.

ჯამა და შვილი შეუდგნენ ქვეყნის შენებას, მათ ჰშველოდა განათლებული კათოლიკოსი ანტონი I. რომელსაც შეუჩნდენ კათოლიკეთ მისიონერნი; მათთან დაახლოვებისათვის შესწამეს ანტონს კათოლიკობის მიღება და თეიმურაზმა განდევნა *) იგი საქართველოდგან. ანტონი წავიდა რუსეთში, თავი იმართლა უწმიდეს სინოდის წინაშე და დანიშნულ იქმნა არხიეპისკოპოსად ვლადიმირის ეპარხიისა (1757 წ., 27 ნოემბერს).

ჯალე ნადირის წყალობა მოაკლდათ ჩვენთა მეფეთა, რადგან ესენი რიგიანად არ ემსახურებოდენ მას და სცდილობდენ მის მფარველობიდამ გამოსვლას და რუსეთის ერთგულებას იჩენდენ. ნადირი იმუქრებოდა ქვეყნის აკლებას, რის გამო თეიმურაზი წავიდა რუსეთში შემწეობის და მფარველობის სათხოვნელად, ქართლ-კახეთის მეფედ დაშთა ერეკლე II (1762 წ.)

სპარსეთში მოჰხდა აღრეულობა. ამით ისარგებლა ერეკლემ და შეუდგა ხალხისთვის და სარწმუნოებისთვის ზრუნვას. თფილისის ტიპოგრაფიაში აღბეჭდა ყოველ-გვარი სასულიერო წიგნები და დაურიგა ეკლესიებს სახმარებლად. დაიწყო განახლება ზოგიერთის ეკლესიისა. რუსეთიდგან გამოიწერა ანტონი I და ისევ კათოლიკოსობა მისცა. დაუღალავმა ამ პირმა, მეფის დახმარებით, მონასტრებში დააარსა სკოლანი ყრმათა სასწავლელნი, მათთვის შეადგინა სახელმძღვანელონი და აგრეთვე შეთხზა და გად-

---

*) იერუსალიმის პატრიარხი თავის ეპისტოლეში იმერეთის, ოდიშის, საქართველოს, სვანეთის, აბხაზეთის და სრულიად ქვემოისა იმერეთის კათოლიკოზს გრიგოლს (ლორთქიფანიძე), სხვათა შორის, სთხოვს მოახდინოს კრება, რომელმაც აღუკრძალოს ყოველთა გაყიდვა ქრისტიანეთა. ვინც არ დაიშლის, ის შეაჩვენონო. ქრისტიანთ გამყიდავ მღვდლებს და ბერთ ჩამოხდეს ღირსება ღა შეჩვენებულ იქმნენ. (იხ. ქართ. სასულ. მახარ. მაისი 1866 წ.).

*) ამასთანავე თეიმურაზმა ქართლიდგან სრულიად განდევნა კათოლიკეთ მისიონერნი და მათი ეკლესია მართლ-მადიდებლობით ტაძრად იხმარა (შარდენ).

მოსთარგმნა მრავალი სხვა წიგნები *) და ყოველ მონასტერს თვისის ბიბლიოთეკისათვის გაუგზავნა თითო ცალი. ამნაირის მოღვაწეობით ანტონმა ბერ-მონაზონნი გაანათლა და სასულიერო წოდება შეიქმნა ღირსეულ მწყემსად ხალხისა. მონასტერთა სკოლებში სწავლობდენ ყოველი წოდებიდამ. ანტონის გამხნევებამ და მფარველობამ საქართველოში დაჰბადა მრავალნი განათლებულნი პირნი. დეკანოზი ზაქარია გაბაშვილი, ავტორი „კატის ომისა“, ტფილისის მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე, ავტორი „მოგზაურობისა წმიდა ადგილებ ში“, მთავარ-ეპისკოპოსი ათანასე, რომელიც მეფე ირაკლიმ 30 მაისს, 1752 წ. გაგზავნა რუსეთში იმპერატრიც, ელისაბედისაგან შემწეობის სათხოვნელად. ათანასე იქვე რუსეთში დარჩა და 21 დეკემბერს, 1761 წ. უწმიდესის სინოდის ნება დართვით მოსკოვში გახსნა ქართული ტიპოგრაფია და დაიწყო სასულიერო წიგნების ბეჭდვა **). მისივე თხოვნით (20 ოკტომბერს 1769 წ.) უწმიდესმა სინოდმა ნება-დართო გაეგზავნოს საქართველოს ვედრონახევარი ზეთი ეკკლესიებში მოსახმარებლად ***) (სინ. არხ. საქმე 1769, № 297). დავითი ტფილისის სემინარიის რექტორი; გაიოზი რექტორი თელავის სემინარიისა. ამ განათლებულმა მღვდელ-მთავარმა დაგვიტოვა მრავალი მეტად სასარგებლო შრომანი ****). ამავე დროს გავრცელდა და მონასტრების სკოლებში შემოვიდა შესანიშნავი

*) ანტონ I შრომანი:

1, ღვთის-მეტყველება, 2, წყობილ-სიტყვაობა, 3, მზა-მეტყველება, 4, განმარტება მოციქულის პავლეს რომაელთა მიმართ, 5, განმარტება 50 ფსალმუნისა, 6, სვინაქსარი, 7, ისტორია ეფესის მსოფლიო კრებისა, 8, კატეღორიანი არისტოტელისა, 9, ფილოსოფია ბაუმეისტრისა, 12 ქართული გრამატიკა და სხვანი.

**) კორრექტორად ათანასეს ჰყვანდა მელხისედეკ კავკასიძე, ტიპოგრაფიის ზედამხედველად იყო ევგენი ამილახვარი. ამ ტიპოგრაფიაში ალიბეჭდენ; დავითნი, ლოცვანი, ჟამნი, სამოციქულო და ანბანი სამს ენაზედ: ლათინურზე, ბერძნულზე და რუსულზე.

***) ამ დრომდის ზეთს ან საქართველოშივე ჰხარშავდენ, ან იწერდენ საბერძნეთიდამ. ეხლა კი არეულობისა და შიშიანობისა გამო ვერც საქართველოში მოხარშეს და ვერც საბერძნეთიდამ გამოიწერეს. 1774 წელს კი ზეთი უკანასკნელად მოხარშულ იქმნა მცხეთაში.

****) საეკკლესიო ისტორია, თარგ. რუსულიდამ, სასულიერო რეგლამენტი პეტრე დიდისა, ღვთის-მეტყველება მიტროპოლ. პლატონისა, ისტორია ძველთა სამეფოთა როლლენისა, ქართული გრამატიკა, შენიშვნანი საქართველოს ისტორიაზედ და და სხვანი—სულ 13 წიგნი, გარდა მისთა ქადაგებათა.

ლექსიკონი *) სულხან საბა ორბელიანისა, პაპა კლიმენტი მე XI მეცადინეობით გაფრანგებულისა. ამან მოიმგზავრა ევროპა, იყო იტალიაშიაც და სხ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასწერა აგრეთვე „სიბრძნე სიცრუის“ წიგნი და „სამოთხის კარი.“

იმერეთის საქმენი უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ოსმალთა მეცადინეობით წარჩინებულ გვართა და მთავრებ შორის ჩამოვარდა უკმაყოფილებანი, შინაური შფოთი. ოსმალთა და ახალციხის ფ-შის ჯართა გაოხრეს მრავალნი ეკკლესიანი, მრავალი ქრისტიანე გაამაჰმადიანეს და ხალხში გაავრცელეს ვაჭრობა ქრისტიანებითა. ამ მდგომარეობაში მეფე სოლომონ პირველი ითხოვს შემწეობას რუსეთისაგან. რუსის ჯარი დაეცემა ოსმალთ იმერეთში, ამარცხებს მათ და ქუთაისის ციხეში ჩაკეტილ ოსმალთაც მუსრს ადენს და ამნაირად ანთავისუფლებს იმერეთს მათ მფლობელობიდამ.

ამის შემდეგ მეფე სოლომონ I შეადგენს სასულიერო კრებას და ამ კრებაზედ აღუკრძალავს ხალხს ტყვეთა და ქრისტიანეთ ყიდვას. ვინც არ დაემორჩილება ამ ბრძანებას, ის შერცხვენებულ იქმნება. მეფე ზრუნავს და მოღვაწეობს ხალხისათვის, აგებს ეკკლესიებს. ოსმალნი, რუსთა წასვლის შემდეგ, ეცემიან სოლომონს და ამარცხებენ მას ჩაქვთან.

მეფე სოლომონ II აგრეთვე სცდილობს და მოღვაწეობს ხალხის ზნეობის გასაუმჯობესებლად. სამეგრელო-იმერეთ შუა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად იგი ირთავს სამეგრელოს მთავრის ასულს მარიამს. მრავალგან ხსნის სკოლებს. ქუთაისში აარსებს ტიპოგრაფიას და ჰბეჭდავს სასულიერო წიგნებს **).

სამეგრელოს, გურიას, იმერეთს, ამერეთს და, საზოგადოდ, მთელს საქართველოს, როგორც ვხედავთ, ჰყვანდენ თვისნი მოღვაწენი და კეთილნი მწყემსნი, რომელნიც ხშირად მეფეთ და მთავართ ჩამომავალნი იყვნენ და ამ მრავალ-ტანჯულ ქვეყანაში იყვნენ სვეტნი სარწმუნოებისა. სახსოვრად შთამომავლობისა აქ მოვიხსენებთ რამდენიმე მათგანს:

ა) ანტონი ჭყონდიდელი (დადიანი), რომელმაც დაჰსწერა: რამდენიმე სიტყვა საუფლის-წულო დღეთათვის, ცნობანი თავის დროინდელ ჟამისა, სია იმერეთის, გურიის და სამეგრელოს მღვდელ-მთავართა.

*) ეს ლექსიკონი 1884 წელს საფასითა გორის ეპისკოპოსის ალექსანდრესი და რ. ერისთავის რედაქტორობით ალიბეჭდა ტფილისში და იყიდება ოთხ მანეთად.

**) სოლომონის ტიპოგრაფიაში ალიბეჭდენ: სახარება, სამოციქულო, ჟამნი, დავითნი და სხ.

ბ) კათოლიკოზი საქართველოისა ზაქარია, მწერალი თავის დროინდელი (1617 წ.) ისტორიისა.

გ) დოსითეოზი, ნეკრესის ეპისკოპოზი, ფილოსოფოსი (1671 წ.).

დ) ევდემონი აბხაზეთის კათოლიკოზი (1662 წ.), შემადგენელი კათოლიკოზთა კანონებისა (ნომოკანონი).

ე) არსენი ნიკორ-წმინდელი, ღვთის-მეტყველი, ფილოსოფოსი, განმმარტებელი სამღვთო წერილისა. უბიწო, უმანკო ცხოვრებით განთქმული და წოდებული ანგელოზად.

ვ) მეფის თეიმურაზის დაჲ მაკრინე, სამშობლო წმიდათათვის საგალობლების შემადგენელი.

ზ) იოანე ჩხატაურელი (გურიიდამ), ბერ-მონაზონი, გამლექსავი ისტორიისა და შესხმათა წმიდათათვის, აგრეთვე მომთხრობი საქრისტიანო ისტორიისა ქობულეთში და დასავლეთ გურიაში (1698 წ.).

ჱ) იობი, არხიმანდრიტი ზიდარეთისა, წამებულთათვის საგალობლების დამწერი (1691 წ.).

თ) იმერეთის კათოლიკოზი ნიკოლოოზ, განმმარტებელი სამღვთო წერილისა და სამღვთო ისტორიისა (1710 წ.).

ი) საქართველოს კათოლიკოზი ბესარიონ (1724 წ.), ისტორიკოსი და ღვთის-მეტყველი.

ია) დომენტი III, კათოლიკოზი, რომელმაც შეადგინა საბერძნეთის ეკკლესიის წმიდათა ცხოვრების აღწერა.

იბ) გედეონი, იშხანის მღვდელ-მთავარი.

იგ) თბილისის მღვდელ-მთავარი იოსები, სწავლული, განათლებული კაცი, მწერალი და ფილოსოფოსი.

იდ) იაკობ I, იმერელი, მწერალი; მოიმგზავრა პალესტინა.

იე) დეკანოზი მიხეილ, რომელიც ჰბეჭდავდა წიგნებსა თბილისში.

ივ) მროველის ეპისკოპოსი ნიკოლოოზ, მბეჭდავი სასულიერო წიგნთა თბილისში.

იზ) მცხეთის მღვდელ-მთავარი გრიგოლ, რომელიც შრომობდა ვახტანგის „სწავლულთა კომმისიაში.“

იჱ) იოსებ სამებელი, რომელმაც მოსკოვში განიხილა დაბადება და მეფის ძის ბაქარის ბრძანებით იგი აღსაბეჭდავად დაამზადა.

ით) იერომონახი გრიგოლ (ვახვახიშვილი), აღმწერი ქეთევანის წამებისა და სხ.

კ) საბა ნინოწმიდელი, ღვთისნიერი და განათლებული ეპისკოპოსი.

ამათ გარდა თვისის მაღალ-ზნეობრივის ცხოვრებით და მოღვაწეობით განითქვნენ: მანგლისის ეპისკოპოსი იოანე *), სასწაულთ-მომქმედი; ნეკრესის ეპისკოპოსი ზენონი, გენნადი, ალავერდის მღვდელ-მთავარი ზენონი, ხარჭაშნელი ეპისკოპოსი ვიკტორი, სერაპიონი და სხ.

მოსე ჯანაშვილი.

ჟურნალ-გაზეთთაგან.

„დროებაში“ ვკითხულობთ შემდეგ ამბავს:

„ოკტომბრის 18-ს ს. ნინო-წმინდის ეკკლესია გასტეხეს ავაზაკებმა და შემდეგი ნივთები გაიტანეს იქიდგან: 1) სახარება, შევერცხლილი; 2) ჯვარი ხისა, ვერცხლში ჩამჯდარი; 3) ბარძიმ-ფეშხუმი და კამარა ვერცხლისა ოქროთი დაფერილი; 4) მეორე წყვილი ბარძიმ-ფეშხუმი ვერცხლისა; 5) ხასეფისკვერე ვერცხლისა; 6) ორი ვერცხლის კოვზი; 7) ორი განსაზავებელი ვერცხლისა; 8) საცეცხლური ვერცხლისა. ეს ნივთები არც ერთი არ ეკუთვნოდა ამ საუკუნეს, გარდა საცეცხლურისა, და ამიტომ მათი დაკარგვა ძლიერ სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს, როგორც ძველი ნაშთებისა და ქართულის ხელოვნების ნიმუშებისა. სხვათა ნივთთა შორის უფრო შესანიშნავ ხელოვნებას წარმოადგენდენ ერთი წყვილი ბარძიმ-ფეშხუმისა, ოქროში დაფერილი და მშვენიერი ჩუქურთმით

*) ეს იყო ძე გიორგი სააკაძისა (პ. იოსელიანი), დაიბადა 1666 წ. იყო გარესჯის ბერთ-უხნის იერომონახად. მიიღო მანგლელობა. შემდეგ მიიღო წინამძღვრობა ხირსის მონასტრისა და ჰქადაგებდა ქრისტიანობას საინგილოში, კახეთში. 1724 წ. წავიდა დერბენდში, საცა აიშენა ეკკლესია და დაიწყო ქადაგება დაღისტანში. 1730 წ. უუწმიდ. სინოდის ნება-დართვით ააშენა იქვე ქვის ეკკლესია მარიამ დედის შობისა და ერთიც ზღვის პირზედ წმ. მოწამისა ეკატერინასი. 1737 წ. წავიდა აშტარხანში და დადგა ტროიცკის მონასტერში. აქ მან აღაშენა წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესია, რომელიც 1744 წელს უუწმ. სინოდმა მონასტრად აღიარა. წინამძღვრად დაინიშნა ქართველი გერმანოზი. იოანესავე მოთავეობით ყიზლარში აშენდა ჯვართ-ამაღლების ეკკლესია ქართველთათვის და იქვე 1738 წ. ქართველმა არხიმანდრიტმა დანიელმა დაარსა სასწავლებელი. აქვე აღესრულა იოანე 1751 წელს 28 მარტს. იქვე დასაფლავებულ იქმნა აშტარხანის ეპისკოპოზის ილარიონისაგან. 1752 წ. სხეული მისი მოტანილ იქმნა საქართველოში და სიონის სობოროში დასაფლავებულ. ნათლის-მცემლის უდაბნოს იერომონახი იოანე თვისაგან შედგენილს წიგნში (ჯვარ-მოსილი) ჰმოწმობს, რომელ სიკვდილის შემდეგაც იგი ახდენდა სასწაულებსა Пут. Зап. по Дагест. გვ. 51 და Оп. Др. г. Тифл. გვ. 160-162 პლ. იოსელიანისა).

მოკაზმული, რომლის მზგავსი არც ერთ თბილისის ეკკლესიაში და არც სხვაგან სადმე არ მინახავს. როგორც ამ ბარძიმ-ფეშხუმის დაფარნებიდგან სჩანს, ეს ორი ნაჭერი მეფე ვახტანგის ასულის თამარის შეწირულები უნდა იყოს. თითონ დაფარნები არა ნაკლებად ღირს შესანიშნავნი არიან ზემოხსენებულ ბარძიმ-ფეშხუმზე თავის ხელოვნებით. დიდი დაფარნა, რომელიც ერთ ადლზე ცოტა გძელია, მშვენიერის ოქროს ქსოვილით ნაქარგი. დაფარნის შუა ალაგს გამოყვანილია ოქროს-მკედით მაცხოვრის ჯვარი და გარემემო გაფოთლილნი ყურძნის ვაზები მოსხმულის მტევნებით. ესეთი ჰარმონიული შეკრთება და შეკავშირება მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზედ. როდესაც ამ დაფარნის ხელოვნებას აცქერდებით თქვენდა უნებურად შემდეგი კითხვები გებადება თავში: ნეტავი რა ხელმა გააკეთა ესეთი მშვენიერება? ნეტავი იმ დროს, როდესაც საქართველოში ესეთი მშვენიერი ხელოვნება სუფევდა!

დაფარნის ბოლოზედ ოქროს ქსოვილით შემდეგი წარწერა: «წ. საქართველოს მეფ. ვახტანგის ასულმა და კახთ მეფის დავითის რძალმა და ბატონიშვილის თეიმურაზის თანამეცხედრემ ბატონიშვილმა თამარ შევაკერვინე დაფარნა ესე და შევწირე საგარეჯოს წმ. ნინოს დღეთა ჩვენთა წარსამატებლად სულთა ჩვენთა საოხად ქრ. ყვ.» (406—1718 წ.). თუმცა დაფარნებს თითქმის ორი საუკუნე უსრულდებათ, რაც შეკერილან, მაგრამ ისევ ახლებსა ჰგვანან, რადგან როგორც მშვენიერნი და ძვირფასნი თავის ხელოვნებით, ძლიერ იშვიათად ყოფილან სმარებაში.

ეკკლესიის გამცარცველნი მეორე დღესვე იპოვნეს და კიდეც დაიჭირეს მაგრამ..... ეხლა კი დღესაც თავისუფლად დაბრძანდებიან. ნივთები სამუდამოდ დაიკარგნენ ჩვენთვის! ამ ჩვენ ზნეობრივ დაცემულს და გახრწნილს დროში, ეს ნელ-ნელა გვეცლება ხელიდამ ძველი ნაშთები!

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ხაიშიდგან დეკანოზი მამა მ. მეუნარგია ჩვენ გვთხოვს შემდეგი წერილის დაბეჭვდას „მწყემს“-ში:

„ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის მოწერილობით 20-ს გასულს აგვისტოდამ, შევკრიბე ჩემდამო რწმუნებული ზუგდიდის მაზრის საბლაღოჩინოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურენი, რომელთაც წაუკითხე ეპისკოპოზის მოწერილობა შესახებ თბილისის სემინარიის ღარიბ მოწაფეთათვის შემწეობის აღმოჩენისა და მასთან წაუკითხე მათ „მწყემსი“-ს №№ 7, 10, 11 და 14 გამოცხადებული შემწირველების სახელნი და გამოცხადებულნი მათდამი მადლობანი, მასთან აღუთქვი, რომ, თუ ვინმე ისურვებს შეწირვას, მისი სახელი გამოცხადებული იქნება გაზეთში. შემდეგ ჩემიერ ესრეთის შეგონებისა დამეთანხმენ და სურვილი განაცხადეს შემწეობაზე. იმავე დღეს ხელ-მოწერით შეიკრიბა 36 მანეთი, რომელსაც მე ჩემი ხვედრი საწევრო ფული ხუთი მანეთი დაუმატე ამ მდგომარე წლისათვის და ერთად ორმოცდა ერთი (41) შემწირველების სიითურთ წარუდგინე ყოვლად სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს 22-ს იმავე თვეში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ფულები გაგზავნილი იქნებიან თავის დანიშნულებისამებრ, მაგრამ მიკვირს, რატომ ამდენს ხანს გაზეთში არ იქმნა გამოცხადებული. მე მრცხვენია, რომ ტყუვილი შემაჩნდა შემწირველებთან და შეიძლება სხვა ნაირად ფიქრობდნენ ჩემზე. ამის გამო თქვენის გაზეთის საშუალებით ვსთხოვ სემინარიის ძმობის კომიტეტს, რომ მან გამოაცხადოს თქვენს გაზეთშივე შემდეგი: მიიღო მან ის 41 მანეთი, ზუგდიდის მაზრის სამღვდელოთაგან შეწირული ფული, თუ არა?“

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზუთის წმიდის გიორგის ეკკლესია (შორაპნის მაზრაში) ავაზაკებს გაუტეხიათ და, რაც კრუჟკაში ფულები ყოფილა, წაუღიათ. ავაზაკები, როგორც ყოველთვის ამისთანა შემთხვევაში, ჯერეთ არ აღმოუჩენიათ.

***

ძველ დროში თფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში ქართულად სრულდებოდა ხოლმე ხან-დის-ხან წირვა, მაგრამ ამ ბოლო დროს მოისპო. ეხლა ყოვლად უსამღვდელოესს საქართველოს ექსარხოს, არხიეპისკოპოსს პავლეს, როგორც გვწერენ, მიუცია ნება ხან-დის-ხან ქართული წირვისა და საეკკლესიო წიგნებს მოწაფეები ქართულად ჰკითხულობენო. ეს დიდ სარგებლობას მისცემს მათ, ვისაც მღვდლად წასვლა სურსთ და აშორებს იმ დაცინვას, რომელიც ეხლანდელ სემინარიელებს ხშირათ ესმისთ საზოგადოებისაგან.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე.

შესხმა,

თქმული 11-ს ნოემბერს 1884-ს წელსა, შემთხვევისათვის მიტროპოლიტის ისიდორეს 50 წლის ეპისკოპოსობის იუბილეისა. არხიმანდრიტის გრიგორისაგან—(დადიანი).

> ჱრა აღანთიან სანთელი და დასდგიან ქუეშე ხვიმირისა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა. (მათეს თავი ე. იე—ივ).

ჩვენი მართლ-მადიდებელი საქართველოს ეკკლესია დაარსებისათანავე თვისისა მიეცა სხვადა სხვასა ტანჯვასა და წვალებასა ქრისტეს სარწმუნოების მტრებისაგან. წარმართნი, თათარნი, ყიზილბაშნი, ჩერქეზნი, ლეკნი, ოსნი თითქმის განუწყვეტლად ქენჯნიდენ მას. თუ ხან-დის-ხან, რომელისამე ძლიერის მეფის ხელში, საქართველოს ეკკლესია განთავისუფლდებოდა დროებით ტანჯვისაგან, თითქო იმისთვის, რომ შესძლებოდა მას ატანა მომავლის, უფრო ძლიერის წვალებისა. ამ გვარად იტანჯა იგი თუთხმეტი საუკუნის განმავლობაში; მაგრამ დრონი იცვალნენ. ამ საუკუნის დასაწყისში, განგებითა ღვთისათა, შეუერთდა იგი რუსეთის ეკკლესიასა და ჰპოვა მან მყუდრო ნავთ სადგური. ამ დროიდგან ბედის წერა საქართველოს ეკკლესიისა შეკავშირდა რუსეთის ეკკლესიის ბედის წერასთან. შეერთებულის ეკკლესიის მთავარ ეპისკოპოსთაგან არა ერთნი არიან ღირსნი პატივის ცემისა საქართველოს მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთაგან თავიანთ ქველ-მოქმედებით და მოღვაწეობით. მაგრამ, უეჭველია. მათ შორის უპირველესი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკკლესიის კეთილ დღეობისათვის ზრუნვით და ქველ-მოქმედებით დღევანდელს იუბილიარს, უწმიდესის სინოდის თავსმჯდომარეს, პეტერბურგის და ნოვგოროდის მიტროპოლიტს ისიდორეს. მართალია, სულ უმეტეს ცამეტის წელიწადისა განაგებდა იგი საქართველოს ეკკლესიას; მაგრამ ისეთ დროს შეხვდა მას აქ სამსახური, რომ შეიძლო მოკლეს დროში აღებეჭდა მას გზა ნავალი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების თანავე დაიწყო ომი რუსეთისა კავკასიის ურწმუნო და დაუგრომელ ხალხებთან, რომელიც გაგრძელდა მთელი სამოცი წელიწადი და გათავდა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეპყრობილ იქმნა უკანასკნელი მძვინვარე წინამძღოლი ლეკთა, და დამორჩილებულ აღმოსავლეთ-დასავლეთი კავკასია.

დღევანდელს იუბილიარს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს მიტროპოლიტს ისიდორეს შეხვდა საქართველოში ექსარხოსობა სწორედ მაშინ, როდესაც ხსენებული ომი გაცხარებული იყო და როდესაც ლეკები თავს ზარსა ჰსცემდენ საქართველოს კუთხეებს, განსაკუთრებით კახეთს. საქართველოს ქრისტიანობა იყო შემფოთებული და მისთვის საყვარელი, გაჭირვებაში მისალტოლველი ადგილები—მონასტრები, ძველად მოოხრებულნი, წარმოადგენდენ უწყალო ნანგრევებს. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ისიდორე შეუდგა ამ შემთხვევაში ხალხისაგან უფრო საპატივცემულო მონასტრების და ტაძრების აღდგენას; მან განაახლა და განამშვენიერა ტაძარი ალავერდისა, მონასტრები და უდაბნო მარტყოფისა და ქვათა-ხევისა და დავით გარეჯის უდაბნოც ბოლოს დროს ლეკთა და თათართაგან აოხრებული. ამ მონასტრებში ხალხმა სიამოვნებით დაიწყო მსვლელობა წინანდებურად და მით სალხენი დასდო მსასოებელთა მართლ-მადიდებელთა. არც ეს დედა ტაძარი საქართველოსი, სიონი, მოწამე მრავალ-გვარის ტანჯვისა და არა ერთხელ შერყეული ქრისტიანობის მტერთაგან, დარჩენილა უყურადღებოდ დღევანდელს იუბილიარს. ნახა რა იმან, რომ ეს დიდებული ტაძარი პატივ-საცემი იყო არა თუ საქართველოს მართლ-მადიდებელ ქრისტიანთაგან, არამედ სომეხთაგან და ფრანგთაგანაც, დიდი მეცადინეობა მიიღო მის განახლებაში, შესაფერისად განამშვენიერა იგი მხატვრობით. ამით არ გათავებულა იმისი მოღვაწეობა სასარგებლოდ საქართველოს ეკკლესიისა. საქართველოს ზოგიერთა ადგილებში, რომელნიცა დროთა ვითარებისა გამო მოშორებულ იყვნენ ჩვენს სარწმუნოებას, და სადაც მაჰმადის სჯული გავრცელებულ იყო, მან, ვითარცა მოციქულმა, აღმართა ჯვარი ქრისტესი და განანათლა ნათლითა ქრისტესითა წყვდიადი მაჰმადის სარწმუნოების სალოცავთა ადგილთა. გარდა ამისა იგი სცდილობდა ქართულის წინა დაბადების ტექსტის აღდგენას, იმან გარდაათარ-

გმნინა ქართულიდგან სლავიანურს ენაზედ და შეიყვანა სლავიანურ ღვთის მსახურებაში წმიდა ნინოს საპატივცემულოდ შედგენილი საგალობელი; იგი სცდილობდა სასულიერო სასწავლებლების გაუმჯობესობას, ზრუნვიდა სამღვდელოების კეთილ-დღეობისათვის და სხვ.; იგი უყურებდა საქართველოს ხალხს, როგორც თავის საკუთარს მოძმეებს, რისთვისაც საქართველოს მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენიც უყურებდენ მას, როგორც თავიანთს სულიერს მამას და ყოველს მისს მოქმედებაში ხელს უწყობდენ მას. ამდენ ჩვენის ეკკლესიის სასარგებლო მოღვაწეობასთან მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა იუბილიარმა გამოიჩინა შესანიშნავი კაცთ-მოყვარებაც შესახებ მტრებისაგან დაობლებულების ქართველი ყმაწვილებისა; ხშირად მოხდება ხოლმე, როგორც იუბილიარის საქართველოში მოსვლამდის, ისე იმის აქ ყოფნაში, რომ ლეკები აიკლებდენ სოფლებს, ამოხოცდენ მამა-კაცებს და ტყვედ წაიყვანდენ ყმაწვილებს და ქალებს; უფრო უმეტეს ემტერებოდენ იგინი სასულიერო პირებს, როგორც ქრისტეს სარწმუნოების მასწავლებლებს: ბევრი მათგანი დატანჯულ იქმნენ და მიაბარეს სული ღმერთსა; ბევრს მათგანს დარჩნენ ობოლნი ვაჟნი თუ ქალნი, უპატრონოდ და უნუგეშოდ—აი ამათთვის პატრონად და ნუგეშად გამოჩნდა მიტროპოლიტი ისიდორე.

მას ჰქონდა გავლენა თავად-აზნაურობაზე და აკისვრინებდა მათ ბარბაროსთა ლეკთაგან აკლებულ სამღვდელოების ოჯახობისაგან დარჩენილ ობლების აღზრდას და ისინი შეწევნის ფულს აძლევდენ მას. არა ერთი იმ გვარის სასულიერო წოდების ქალთაგანი ესე ვითარის წყალობით შეიქნენ უაღრესის ბედნიერებისადმი მიწევნილნი. ეჭვი არ არის რომ არა ერთი ამ გვარ ობოლთაგანი შეაერთებს დღეს თავის ლოცვას მრთელი რუსეთის ეკკლესიის ლოცვასთან დღეგრძელობისათვის იუბილიარისა.

და ჩვენცა მოვედით, ძმანო და მამანო! შევუერთოთ ლოცვა ჩვენი რუსეთის ეკკლესიის ლოცვასთან დღეგრძელობისათვის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ისიდორესა, რომელმაც მთელი (50 ი) ორმოცდა ათი წელიწადი განვლო ეპისკოპოსის ხარისხში სასარგებლოდ რუსეთის და ჩვენის ეკკლესიისა, რათა მით აღვასრულოთ ერთის მხრით მოვალეობა ჩვენი მისდამი იმ კეთილი საქმეებისათვის, რომელნიც მას უქმნია ჩვენთვის, და მეორეს მხრით მისთვის, რათა დავიცვათ ზემოხსენებული მცნება სახარებისა. „არცა აღანთიან სანთელი და დაჰსდგიან ქუწშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა". (მათეს თავი ე. იე—ივ) ამინ.

მეოთხე ფსალმუნი დავითისა.

ჩემი ვედრება ღმერთმა ისმინა,
ვსთხოვე, რომ ჭირში მან მე მიშველოს,
რომ სიფართოვე მომცეს ჭირშია
და ყოველთვის მე შემიწყალოს.

ძენო კაცთანო, მე გული მეწვის,
რომ თქვენ ყველას გაქვსთ გულნი ფიცხელნი,
რომ ხართ მოყვარულ სიამოვნების
და სიცრუისა მაძიებელნი.

თუმცა გაჯავრდეთ, მაშინ ნუ სცოდავთ,
თუმც გულში შური გჰქონდეთ, განაგდეთ
და ჩუმათ რასმეს თუ განიზრახავთ,
საწოლშიდავე ის შეინანეთ.

მოეცი, ღმერთო, ცით სიხარული
შენს მოიმედე ამ ჩემსა გულსა,
სასმელი ღვინო, საჭმელი ფქვილი,
ზეთს ნუ მოაკლებ ჩემს საზეთესა.

რომ წყნარად დავსწვე და დავიძინო,
შენ გადიდებდე მძინარ—მღვიძარე,
შენი ბრძანება მუდამ ვისმინო,
რომ იმედითა მე დამამკვიდრე.

ილ. ფერაძე.

რედაქციის პასუხი.

ახალციხეს. ბ. ზ—ძეს. თქვენი სტატია არ დაიბეჭდება, ჩვენდა სამწუხაროდ; მაგრამ თქვენი მოთხრობილი ამბავი მიაწევს მაინც, სადაც რიგია.

საჩხერეს. მღ. მ—შვილს. თქვენი წერილის დაბეჭვდა არ შეიძლება. ბევრს რამეს ფიქრობენ და საქმით კი კაცი მართალია.

განცხადება.

დამზადდა და ხუთ დღეში გამოვა გასასყიდლად ქართული მხედრული ვრცელი

ლოცვანი,

საჭირო და სასარგებლო ყოველ მართლ მადიდებელ აღმსარებელ პირთათვის, შედგენილი მღ. დ. ღამბაშიძის მიერ. შინაარსი ამა ლოცვანისა:

დილის ლოცვანი; ლოცვანი ძილად მისვლისა; შემოკლებული დილის და საღამოის ლოცვები; საყოველდღეო სახმარნი ლოცვანი; ათი მცნება; ცხრა ნეტარება; ლოცვა მეფისა; ლოცვა ცოცხალთა და გარდაცვალებულთა და ჯვარისა; ლოცვანი და კეთილ-კრძალულებითი გულის ზრახვანი შესრულების და მოსმენის დროს ლიტურღიისა; მწუხრის ლოცვანი; ცისკრის ლოცვანი; პირველი ჟამის ლოცვანი; სძლისპირნი დიდ მარხვის სერობისანი; დიდი სერობის ლოცვანი; დიდ მარხვის ტროპარები და კონდაკები; რომელი ქერუვიმთას საგალობელი გალობანი; აღდგომის საგალობელნი გალობანი; მცირე სერობა; ღვთის მშობლის პარაკლისი; ზიარების ლოცვა; თვეთა მეტყველებანი წლითი წლად; მოძრავი დღესასწაულები; წელთა აღრიცხვა, ქორანიკონი ჩშ-ს წლამდე.

თვეთა მეტყველებაში ყოველ დღესასწაულს თან მიჰყვება მოკლე გასაგები ენით ისტორიული მოთხრობა.

ამ ლოცვანით ყველას შეუძლია ისარგებლოს: როგორც მოსწავლეებს, ისე სხვა პირებს, დიდებს და პატარებს, ვინც კი კითხვა იცის, სამღვდელოს და საეროს.

ფასი ლოცვანისა გაგზავნით და გაუგზავნელად ყველგან ექვსი შაური.

მშვენიერ ყდაში გაკეთებული ლოცვანის ფასი არის **ცხრა შაური.**

ლოცვნების ყიდვა შეიძლება:

ქუთაისში: ჭილაძის და მურადოვის წიგნის მაღაზიებში და პეტროვის ბიბლიოტეკაში.

თფილისში: ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში.

ზუგდიდში: დეკანოზ მამა მიხეილ მეუნარგიასთან.

ფოთში: ბლაღოჩინ მღვდელ გ. მაჭაროვთან.

სიღნაღში: დეკანოზ მამა სიმონ ბეგიევთან.

ახალციხეში: ბლაღოჩინ მღვდელ გრიგორ დავიდოვთან.

ვინც „მწყემსის“ რედაქციიდამ დაიბარებს არა ნაკლებ ორმოცდა ათი ეკზემპლიარისა, მას მანეთზედ დაეთმობა **ხუთი კაპეიკი.**

Дозв. цензурою Кутаисъ, 30 Ноября 1884 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.